ათეა

ყოველთვიური ელექტრონული დაიჯესტი

MONTHLY ONLINE DIGEST

ბიულეტენი

BULLETIN

მაისი 2024

ათეა გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს !!!

ათეა სრულიად საქართველოს გილოცავთ ქართველი სპორტსმენების წარმატებას!!!

2024 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ინდივიდუალურ ასპარეზობაში ოქროს მედლები ტატო გრიგალაშვილმა და გიორგი სარდალაშვილმა მოიპოვეს, ვერცხლის მედალი - გურამ თუშიშვილმა, ბრინჯაოს მედალი კი - ვაჟა მარგველაშვილმა.

მსოფლიოს პირველობაზე საქართველოს ქალთა და ვაჟთა შერეულმა ნაკრებმა ბრინჯაოს მედალი ზედიზედ მეორედ მოიპოვა.

კონტინენტის პირველობაზე ინდივიდუალურ ასპარეზობაში ოქროს მედლები მოიპოვეს ვაჟა მარგველაშვილმა და ტატო გრიგალაშვილმა, ვერცხლის მედლები - ილია სულამანიძემ და გურამ თუშიშვილმა, ბრინჯაოს მედლები - ეთერ ლიპარტელიანმა, ლაშა ბექაურმა და ლაშა შავდათუაშვილმა, საქართველოს ძიუდოისტთა შერეული ნაკრები კი ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა.

ათეა-ს სიახლეები

მაისი 2024

,,ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის ევროპული ქარტიის" განახლებული ვერსია უკვე ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე.

განახლებული ქარტიის ქართულ ტექსტზე ერთობლივად იმუშავეს გაეროს ქალთა ორგანიზაციამ (UN WOMEN) და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ.

ვრცლად

ევროპული ქარტია

ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ

ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭო (CEMR)



წელს პირველად, საქართველო ევროპის დღეს უკვე ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსით შეხვდა. აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით მასშტაბური ღონისძიება გამართა, სადაც ერთ-ერთ სტენდს ევროპის კავშირის პარტნიორი ორგანიზაცია - საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია წარმოადგენდა.

ვრცლად

ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში საქართველოსა და მოლდოვაში ადგილობრივი დემოკრატიის როლსა და შესაძლებლობების განვითარების აუცილებლობაზე იმსჯელეს აღმოსავლეთ პარტნიორობის კლასტერის ონლაინ შეხვედრაზე.

ვრცლად

ათეა ასრულებს დანაპირებს და წევრი მუნიციპალიტეტების მერიებისა და საკრებულოების თანამშრომლებისთვის განაგრძობს საკონსულტაციო შეხვედრების ციკლს !

მაისის თვეში ასოციაციამ 4 ასეთი შეხვედრა გამართა, რომლებსაც სხვადასხვა დარგის ექსპერტები წარმართავდნენ. თემატიკა შერჩეული იყო მუნიციპალიტეტების საჭიროებებზე მორგებული მოთხოვნის საფუძველზე და მოიცავდა ისეთ თემებს, როგორებიცაა: უსახლკარობის დაძლევის გზები; გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის ბიუჯეტირება; მშენებლობის ნებართვის გაცემის პრაქტიკული საკითხები და საჯარო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სიახლეები.

აღსანიშნავია, რომ ათეა მუნიციპალიტეტებისთვის საკონსულტაციო სერვისის მიწოდებას ივნისის თვეშიც განაგრძობს. ცნობისთვის, კონსულტაციაზე დასასწრებად საჭირო იქნება მარტივი რეგისტრაციის გავლა. შეხვედრის შესახებ წერილობით ეცნობება მუნიციპალიტეტებს. ინფორმაცია ასევე ერთი კვირით ადრე გამოქვეყნდება ათეა-ს სოციალურ გვერდებზე.

ნუ გამოტოვებთ სიახლეებს, გამოგვიწერეთ

და გამოგვყევით 👇

სიახლეები თვითმმართველი ქალაქებიდან

მაისი 2024

20-21 ივნისს ქუთაისის მეოთხე საერთაშორისო ფორუმი (KIF) მოეწყობა

ფორუმი რომლის ერთ-ერთი მხარდამჭერია ათეა, დაინტერესებულ მხარეებს - საჯარო მოხელეებს, სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს, აკადემიკოსებს და ბიზნესის

წარმომადგენლებს ღია დიალოგში ჩართვას, კარგი პრაქტიკის გაზიარებასა და მდგრადი ურბანული განვითარებისთვის ერთობლივი გადაწყვეტილებების შემუშავების პლატფორმას წარმოადგენს.

ფორუმზე დასწრების მსურველებს შესაძლებლობა გაქვთ დარეგისტრირდეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/KIF4

გასათვალისწინებელი ის ფაქტი, რომ რეგისტრაცია არ იძლევა გარანტიას ავტომატური მონაწილეობის თანხმობაზე. შეზღუდული სივრცის გამო ორგანიზატორები შერჩეულ მონაწილეებს რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ გაუგზავნიან დასტურს და შემდგომ ინსტრუქციებს.

დიდ ლილოში არსებულ საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე გაზშემკრები სისტემის მოწყობა იგეგმება

თბილისში, დიდი ლილოს პოლიგონზე გაზშემკრები სისტემის მოწყობის მიზნით, თბილისის მერიასა და EBRD-ს შორის ხელშეკრულება გაფორმდა. პროექტი მოიცავს ნარჩენების განსათავსებელი უჯრედების საბოლოო გადახურვას, უკვე მოქმედი თუ

დახურული უჯრედებიდან წარმოქმნილი გაზის შეგროვებასა და შემდგომ უტილიზაციას.

დიდი ლილოს პოლიგონზე მოეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომლის მეშვეობითაც ნარჩენების განთავსების შედეგად გამოფრქვეული მეთანი ჰაერში არ გაიფანტება, მოხდება მისი ელექტროენერგიად გარდაქმნა და გამოყენება.
ვრცლად

თბილისმა აზიის განვითარების ბანკის ყოველწლიურ შეხვედრას უმასპინძლა. შეხვედრის ფარგლებში გაიმართა პანელური დისკუსია, სახელწოდებით, „მწვანე ქალაქი: ურბანული ლანდშაფტების გარდაქმნა მდგრადი ხვალინდელი დღისთვის“. ღონისძიების წლევანდელი თემაა "ხიდი მომავლისკენ".

ვრცლად

ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, კალოუბნის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლისა და მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობა უკვე დასრულებულია.
აღნიშნულ მისამართზე მდებარე ოთხსართულიანი ავარიული შენობის ნაცვლად ათსართულიანი სახლი აშენდა.

ვრცლად

ფოთში ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამა დაიწყო!

პროგრამის მიზანია, შეიქმნას და განხორციელდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 14-დან 29 წლამდე ახალგაზრდაზე ორიენტირებული ინიციატივები. პროექტი ხელს შეუწყობს ქალაქ ფოთში ახალგაზრდების ინტერესებსა და გამოწვევებზე ორიენტირებული საქმიანობის განხორციელებას.

ვრცლად

რუსთაველი ახალგაზრდების დასაქმების და ქალაქის ეკოსისტემის გაუმჯობესებაში მათი ჩართვის მიზნით, პროექტი - „ახალი სიმწვანე“ ხორციელდება.
18-დან 29 წლამდე ასაკის რუსთაველი ახალგაზრდები, პროექტში ონლაინრეგისტრაციით ერთვებიან და ქალაქის გამწვანების სამსახურში, შესაბამისი ანაზღაურებით იწყებენ მუშაობას.

ვრცლად

რუსთავში, ძველი ქალაქის რეაბილიტაციის და ახალგაზრდების არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე მნიშვნელოვანი პროექტის ფარგლებში, გასული საუკუნის 60-იან წლებში აშენებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ადგილზე, ძველი შენობის ავთენტური იერსახის, 600 კვადრატული მეტრი ფართობის სამსართულიანი ახალი შენობა შენდება.

ვრცლად

ქუთაისმა თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალს „ქარავან არტ ფორუმი“ უმასპინძლა

ფესტივალის ფარგლებში გაიმართა რესტავრატორ - კონსერვატორთა კონფერენცია, სემინარი და ვორკშოპი, ასევე მოეწყო გამოფენა «ურბანული პეიზაჟები» და გაიხსნა ხელოვნების ხეივანი.

პროგრამის „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ ფარგლებში, ქალაქის რამდენიმე ლოკაციაზე სამშენებლო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება

სიახლეები მუნიციპალიტეტებიდან

ვანის არქეოლოგიური მუზეუმი გამოფენის - „ეტრუსკების სამყარო“ მასპინძელია

აღსანიშნავია, რომ აგვისტოს ბოლომდე, ეტრუსკული საგანძური კოლხურ საგანძურთან ერთად იქნება წარმოდგენილი.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია საგანძური იტალიის სამი მუზეუმიდან — კიუზის ეტრუსკული, კიანჩანო ტერმეს არქეოლოგიური და ფლორენციის ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმების კოლექციებიდან.

ვრცლად

პირველად ამბროლაურის
მუნიციპალიტეტის ისტორიაში დაიწყო
უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელ
პირობებში მყოფი ოჯახებისთვის
ინდივიდუალური სახლების
მშენებლობა.
პირველ ეტაპზე პროგრამისთვის 100 000
ლარია გამოყოფილი და წლის ბოლომდე

2 ოჯახს ინდივიდუალური
საცხოვრებელი სახლი გადაეცემა.

* იხილეთ ვიდეო*

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით პროექტი „შემოიარე ადიგენი 2024“ დაიწყო.
პროექტი ადიგენის კულტურულ-ისტორიული ძეგლების უკეთ გაცნობის მიზნით ხორციელდება და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს აერთიანებს.
საბოლოო მიზანს წარმოადგენს ბიზნეს იდეების შემუშავება.

ვრცლად

ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-დან 17 წლამდე ახალგაზრდებისთვის ესეების კონკურსი თემაზე: „ნაადრევი ქორწინება და არსებული საზიანო პრაქტიკები“ გამოცხადდა.

ვრცლად

მალე ბაღდათის მუნიციპალიტეტს პირველი ღვინის ლაბორატორია ექნება. ღვინის ლაბორატორიის მუშაობას იმერული ღვინის ასოციაცია უზრუნველყოფს. ის არა მხოლოდ იმერეთს, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს მეღვინეებს მოემსახურება.

იხილეთ ვიდეო

გორის მუნიციპალიტეტის მერია ახალგაზრდებს მომავალი პროფესიის სწორად შერჩევაში დახმარებას სთავაზობს

პროექტში "ეს საინტერესოა - პროფესიული გზამკვლევი" მონაწილეობა 13 - დან 17 წლამდე მოზარდებს შეუძლიათ.

გორელ ახალგაზრდებს შესაძლებლობა ეძლევათ შეხვდნენ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებულ ადამიანებს და მათგან მოისმინონ ინფორმაცია პროფესიების შესახებ.

ვრცლად

გარდაბნის მუნიციპალიტეტში „უფროსი თაობის სოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში დღის ცენტრი გაიხსნა.

ვრცლად

15-25 წლამდე ასაკის ახალგაზრდების მეწარმეობით დაინტერესებისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, გურჯაანის მუნიციპალიტეტში პროექტი ხორციელდება.
საბოლოო მიზანს წარმოადგენს ბიზნეს იდეების მიღება, რომლებზეც პროექტის ფარგლებში მონაწილე გუნდები იმუშავებენ.

ვრცლად

ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია პროექტში ჩაერთო, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია მინდობითი აღზრდის პროგრამის ხელშეწყობა, რაც მოიაზრებს მიმღები მშობლების მოზიდვას, გადამზადებასა და ბავშვის განთავსების შემდგომ პროფესიულ მხარდაჭერას.

ვრცლად

ზუგდიდში ,,ისტორიული ბაღების VII ევროპული ფორუმი" გამართა, რომელსაც ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი მასპინძლობდა,
ფორუმზე სხვადასხვა ევროპული ბაღის წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს ბაღებში არსებული საერთო გამოწვევები, საშიშროებები და გამოცდილება.

ვრცლად

მარნეულის მუნიციპალიტეტში დასაქმების ფორუმი გაიმართა

სამუშაოს მაძიებლებს ერთიან სივრცეში შესაძლებლობა ჰქონდათ,

რეგიონში არსებულ, 100-ზე მეტ ვაკანსიას გასცნობოდნენ და პირისპირ გასაუბრებოდნენ კომპანიის წარმომადგენლებს.

ვრცლად

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მეორე წელია წარმატებით მიმდინარეობს სოციალური პროგრამა რომლის მიზანსაც წარმოადგენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების დახმარება პირველადი მოხმარების ნივთებით.

ვრცლად

კურორტ შოვში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად ეკლესიის სამშენებლოდ და მემორიალის აღსამართად ე.წ. „რკინის წყლის“ მიმდებარე ტერიტორია შეირჩა.

ვრცლად

სიღნაღის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი გიდის სასერტიფიკატო კურსი მიმდინარეობდა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ადგილობრივი გიდის მომზადება/გადამზადება; სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურულ და საერთოდ, ტურისტულ რესურსებთან დაკავშირებით, სწორი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის გავრცელება.

ვრცლად

ქედის მუნიციპალიტეტის მერია ,,ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა“ პროგრამის ფარგლებში კონკურსს აცხადებს. პროგრამის მიზანია ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც შემდგომში განაპირობებს ქალთა აქტიურობას და თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნას.

ვრცლად

ათეა გისურვებთ წარმატებას!